ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2026 წლის _____

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ.", „დ.დ." და „დ.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და დამტკიცდეს მერიის საშტატო ნუსხა (დანართის შესაბამისად).

მუხლი 2

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვარი №1 დადგენილება (macne.gov.ge , 25/02/2026, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი:010250000.35.113.016546).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს _____ და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის _____წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. **პროექტის წარმდგენი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - პაატა კუნჭულია

2. **პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - გენო მორჩილაძე

3. **პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული რეგულაციები.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) მტკიცდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში მომუშავე პირთა თანამდებობრივი სარგო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად. დადგენილებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო გაანგარიშებულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტისა და „საქართველოს

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს (1,600 ლარი) შესაბამისად.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას. კერძოდ, სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად შრომის ანაზღაურების მუხლით ყოველთვიური ეკონომია შეადგენს 14 720 ლარს, ხოლო წლიური ეკონომია - 176 640 ლარს, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას.

5. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. ქალის და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალის და მამაკაცის თანასწორობის თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის _____